

ბიომეურნეობის მეთოდების სწავლების გამოცდილება და აქტიური პრაქტიკა

*“მეცი ადამიანს თევზი და იგი მთელი დღე მაძლარი იქნება;
ასწავლე ადამიანს თევზაობა და იგი მთელი ცხოვრება მაძლარი იქნება.”*
ლაო ძი, “დაო-დე-ძინი”

2005 წელს “ელკანას” ტრენინგცენტრში შემუშავდა პირველი კურსი: “ბიომეურნეობის საფუძვლები”.

მსმენელების უმეტესობა (მცირედენი გამონაკლისის გარდა) შეიძლება 3 ჯგუფად დაიყოს:

- ფერმერები და გლეხები (ცხოვრობენ პროვინციაში და, როგორც წესი, მათს ძირითად შემოსავალს მეურნეობა წარმოადგენს) – კურსების დამსწრეთა უმრავლესობა (ტენდენცია: მზარდი);
- მოაგარაკეები (წელიწადის დიდ ნაწილს ქალაქში ატარებენ და, როგორც წესი, მათს ძირითად შემოსავალს მეურნეობა არ წარმოადგენს) – კურსების დამსწრეთა უმცირესობა (ტენდენცია: კლებადი);
- სკოლის, პროფესიული სასწავლებლის, უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები (როგორც თბილისის, ასევე პროვინციების სასწავლებლების – კურსზე დასწრების მათი მიზანია – შექნილი ცოდნის საკუთარ პედაგოგიურ და სასწავლო პრაქტიკაში დანერგვა) – კურსების დამსწრეთა რაოდენობის სტაბილურად 10–20% . გადახდის ფორმის მიხედვით, კურსის ყველა მონაწილე 2 ჯგუფად შეიძლება დაყვით:
- ვინც თავად იხდის კურსის გადასახადს (როგორც წესი, კურსის ჩატარების შესახებ ინტერნეტის ან ნაცნობების საშუალებით იგებს);
- ვისაც რეგიონში მომუშავე საერთაშორისო ან არასამთავრობო (იშვიათად კომერციული) ორგანიზაცია უხდის კურსის გადასახადს (მათ, როგორც წესი, ეს ორგანიზაცია პატიუბს).

2006 წელს შემუშავდა 6 ახალი კურსი (“სათემო მობილიზება”, “სამრეწველო ბიომეფუტკრეობა”, “მესაქონლეობა”, “მეფრინველეობა”, “ფიტოდიზაინი”, “ტურიზმი სოფლად”). დაიწერა და დაკაბადონდა დასარიგებელი მასალები (handout), შემუშავდა პრეზენტაციები. აგრეთვე დაიხვეწა არსებული მასალები.

გარდა ამისა, დაიხვეწა და აღიწერა კურსის ჩატარების წესი და ყველა პროცედურა. ჩამოყალიბდა ანგარიშგების ფორმა. ყველა ჩატარებული კურსის შემდეგ იწერება ანგარიში ამ კურსის ჩატარების შესახებ. ყველა კურსს ახლავს საათობრივი პროგრამა, მოკლე აღწერა და სილაბუსი (მიზანი, ჩატარების პირობები და სხვ). ყველა კურსის ჩატარების წინ ივსება მონაწილეთა სია. კურსის შემდეგ მონაწილეები აფასებენ კურსს ჩვენს მიერ სპეციალურად შემუშავებული ფორმის მიხედვით.

მონაწილეთა სია და შეფასების შედეგები (მოკლე ანალიზით) აისახება ყველა კურსის ანგარიშში. ყველა კურსი შედგება პრაქტიკული და თეორიული ნაწილისაგან. ყველა კურსისათვის შემუშავებულია მონაწილეების ტესტირების საკითხები (კურსზე განვლილი მასალის მიხედვით). ტესტირება ტარდება დამკვეთის მოთხოვნით. ყველა კურსზე გაიცემა სერტიფიკატი. დამკვეთის მოთხოვნით სერტიფიკატში შესაძლოა ტესტირების შედეგებიც აისახოს.

კურსების უმეტესობა ითარგმნა რუსულ ენაზე.

2007 წელს ორგანიზაციების დაკვეთით კურსებს დაესწრო პირთა საერთო რაოდენობის 85%, ხოლო კერძო პირების გადასახადი გაიზარდა კურსის ღირებულების 50%-მდე.

ჩვენს მიერ ჩატარებულმა ყველა კურსმა მონაწილეების მაღალი შეფასება დაიმსახურა (მონაწილეების მიერ შევსებული შეფასების ფორმების მიხედვით).

2008 წლამდე ყველაზე ხშირი და სერიოზული შენიშვნა შეფასების ფორმებში ეხებოდა კურსის პრაქტიკულ ნაწილს (ძირითადად ეს ეხება კურსს “ბიომეურნეობის საფუძვლები”). 2008 წლამდე კურსის პრაქტიკული ნაწილი მოიცავდა არსებული წარმატებული მეურნეობების დათვალიერებას და პროგრესული სამეურნეო მოდელების გაცნობას (ე.წ. “პასიური პრაქტიკა”). 2008 წელს კურსზე “ბიომეურნეობის საფუძვლები” მსმენელთა უმრავლესობის მოთხოვნის საფუძველზე შემუშავდა და განხორციელდა (სვანეთში და ტაჯიკეთში) ე.წ. “აქტიური პრაქტიკა”, რომლის დროსაც მონაწილეები თავად იღებენ მონაწილეობას სამეურნეო მოდელის რომელიმე ელემენტის კეთებაში (ამას კურსის მონაწილეები წინასწარი შეთანხმებით თავად ირჩევენ). მაგალითად, მონაწილეები (წინასწარ შერჩეულ ნაკვეთზე) კურსის წამყვანის მონაწილეობით თავად ამზადებენ კომპოსტს, მცირე (მარტივი ტიპის) სათბურს, “კონტეინერულ” კვალს, დააკალმებენ

ხეხილს და სხვ. ასე მონაწილეები უკეთ წვდებიან სამუშაო პროცესისათვის დამახასიათებელ “ნიუნსებს” და იძენენ შესაბამის უნარ-ჩვევებს.


2008 წელს ორგანიზაციების დაკვეთის გარეშე კურსებზე დამსწრეთა რაოდენობამ შეადგინა მხოლოდ 0,3%; ანუ – კურსების დიდი უმეტესობა სხვადასვა ორგანიზაციებმა დაგვიკვეთეს.

	მსმენელთა რაოდენობა	კურსების რაოდენობა
2007	375	20
2008	680	37
ზრდის %	181,34%	185%

2005 წლიდან 2009 წლის ჩათვლით “ელკანას” ტრენინგცენტრის კურსს დაესწრო 2050 პირი (იხ. გრაფიკი). აქედან “ელკანაში” დახლოებით 4–5% გაწვერიანდა.

2005–2009 წწ “ელკანას” კურსებზე მსმენელთა რაოდენობა

წელი	2005	2006	2007	2008	2009	მთლიანად
კაცი	518	103	170	382	94	1,267
ქალი	119	112	205	298	103	837
სულ მსმენელთა რაოდენობა	637	215	375	680	143	2,050



2007 წლის ოქტომბერში, ტრენინგცენტრის (აგრეთვე სამრჩევლო სამსახურის) ორგანიზაცია SocialCert-Ltd-ის წარმომადგენლის (სტეფან აკერმანი, მიუნხენი, გერმანია) მიერ ჩატარებული ხარისხის მართვის სისტემის აუდიტის შედეგად, “ელკანა” გახდა ხარისხის მართვის ISO 9001:2000 სერტიფიკატის მფლობელი.

მიღწეული შედეგების გარდა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რა გავლენა ახლავს ჩატარებულ კურსს. გავლენაში ვვულისხმობთ კურსის შედეგად მიზნობრივი ჯგუფის მიერ მიღებულ მოსავლის (აგრეთვე წველადობისა და ნამატის) ზრდას (შესაბამისად შემოსავლებისა და ცხოვრების დონის ზრდასაც). სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ ცალკეული მონაცემები მოგვეპოვება კურსის შედეგად წველადობის, მოსავლის ან ფინანსური შემოსავლის გაზრდის პრეცედენტების შესახებ.

სშირია შემთხვევები, როდესაც ერთი კურსის გავლის შემდეგ მონაწილემ “ელკანას” სხვა კურსების გავლაც მოისურვა. ბევრია ორგანიზაცია, რომლებმაც რამდენიმეჯერ დაგვიკვეთეს კურსის ჩატარება და კვლავაც აპირებენ ჩვენთან თანამშრომლობას (მაგ., OxfamNovib, GTZ, SDC, ProMestiaGeorgia, CHF და სხვ.).

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ცხადია, არსებობს პრობლემებიც. მათი გადაჭრა აუცილებელია რეალური გავლენების მიღწევისათვის (და აღრიცხვისათვის). პრობლემები პირობითად 2 ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. პრობლემები დონორებთან და/ან დამკვეთებთან მიმართებაში და 2. მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში.

1. “ელკანას” საქართველოს უმეტეს რეგიონში ფერმერებთან მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. დამკვეთები ზოგჯერ არ ითვალისწინებენ ჩვენს რეკომენდაციებს: სხვასთან ერთად, მაგალითად, როგორც წესი, დამკვეთი წინასწარ გვისაზღვრავს კურსის ჩატარების რეგიონსა და ადგილს (“ელკანასთან” წინასწარი კონსულტაციის გარეშე – მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე). ეს, ერთი შეხედვით, ბუნებრივიცაა, მაგრამ, მეორე მხრივ, კურსის ჩატარება ბევრად ეფექტურია იქ, სადაც “ელკანას” მეტი წვერი ცხოვრობს, განხორციელებული პროექტები და, შესაბამისად, მეტიცაა მიღწეული შედეგები და წარმატებები.

გარდა ამისა, მხოლოდ ერთი კურსის ჩატარებას სოფელში თუ რეგიონში თითქმის არანაირი გავლენა არ ახლავს. რეალური გავლენის მიღწევისათვის საჭიროა კომპლექსური და სისტემური მიდგომა, რაც კურსის გარდა გულისხმობს მოსახლეობასთან “ელკანას” სხვა დეპარტამენტების აქტიურ მუშაობას (სამრჩველოსი, სათემო მობილიზების, მარკეტინგის, PR-ის). ამის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ მსმენელებს საკითხავ თეორიულ მასალებთან ერთად სანიმუშოდ და გამოსაცდელად (მცირე რაოდენობით) ბიოსათესლე მასალა და ბიოპრეპარატები მიეწოდოს (ცხადია, შემდგომ მათი შექენის შესაძლებლობით).

2. მიზნობრივ ჯგუფთან მიმართებაში მხოლოდ ერთი პრობლემაა - ფერმერთა სკეფსისი. როგორც წესი, ეს პრობლემა არსებობს მაღალმთიანი რეგიონების მცირე ფერმერებთან (მოსწავლეებთან, მასწავლებლებთან, მოაგარაკებთან და ბარში მცხოვრებ საშუალო და მსხვილ ფერმერებთან ეს პრობლემა თითქმის არ წამოჭრილა). ამ პრობლემის გადაჭრის კარგ მაგალითს იძლევა ჩვენი თანამშრომლობა (2008-2009 წწ) შვეიცარიულ ორგანიზაცია ProMestiaGeorgia-სთან. ამ ორგანიზაციამ, გაითვალისწინა რა ჩვენი რეკომენდაციები, ზემო სვანეთის მულახის თემის სოფლებში კურსების ჩატარების გარდა დააფინანსა მცირე ზომის საცდელი ნაკვეთის მოწყობაც, ამ ნაკვეთზე კურსების თეორიულ ნაწილთან ერთად, “აქტიური” ტიპის პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარება (უპირატესად მოზარდების ჩართვით), სათესლე მასალის განახლება და ძველი ადგილობრივი კულტურების გავრცელება. დამატებითი ფინანსური ხარჯის გარეშე ხელი შეეწყო ბიოპრეპარატების გავრცელებას (მოსახლეობის ინიციატივით კომერციულ საწყისებზე). ამ მაღალმთიანი სოფლის მცხოვრებთა ძირითადი შემოსავალი ყველისა და კარტოფილის გაყიდვას მოდის. “ელკანას” კურსი გაიარა 40-მდე პირმა. აქედან 20 ოჯახის თითო ძროხაზე (თითო მოწველაზე) საშუალო წველადობამ მოიმატა 1-1,5 ლ-ით, 5 ოჯახის – 2,5 ლ-ით, 12 ოჯახმა მიიღო კარტოფილისა და სხვა ბოსტნეულის ბიოსათესლე მასალა და “ელკანაში” გაწვერიანდა 15 ოჯახი.

სამომავლოდ კურსების ჩატარება სწორედ ასეთი ფორმით იქნება უფრო ეფექტური. გარდა ამისა, სასურველი იქნება შექენილი გამოცდილების საფუძველზე შემუშავდეს დონორებისათვის და დამკვეთი ორგანიზაციებისათვის ჩვენი რეკომენდაციების ბეჭდვითი და ელექტრონული პაკეტი, რომელსაც თან დაერთვება კონკრეტული წარმატებული მაგალითების ილუსტრირებული აღწერა.

რეზიუმე:

1. “ელკანას” მოეპოვება მრავალწლიანი გამოცდილება კურსების, ტრენინგებისა და სემინარების ჩატარებაში;
2. 2007 წლის ოქტომბერში ორგანიზაცია SocialCert-Ltd წარმომადგენლის (სტეფან აკერმანი, მიუნხენი, გერმანია) მიერ ჩატარებული ტრენინგცენტრის (აგრეთვე სამრჩველო სამსახურის) ხარისხის მართვის სისტემის აუდიტის შედეგად “ელკანა” ხარისხის მართვის ISO 9001:2000 სერტიფიკატის მფლობელია;
3. “ელკანაში” შეიძინა ტრენინგებისა და კურსების მსვლელობისას აპრობირებული და დანერგილი “აქტიური პრაქტიკის” გამოცდილება. ეს პრაქტიკა გულისხმობს სწავლების პროცესის კომპონენტს, როდესაც მსმენელები ერთობლივად მუშაობენ კურსის ან ტრენინგის პროგრამაში განხილული ერთი ან რამდენიმე მოდელის განხორციელებაზე. მაგალითად: მოაწყობენ მარტივი ტიპის მინი სათბურს, შემადლებულ კვალს, დაამზადებენ კომპოსტს და სხვ. არსებული გამოცდილების საფუძველზე ამ მეთოდმა

მსენებლებს მნიშვნელოვნად გაუზარდა თეორიული კურსების ათვისების ხარისხი, შესძინა კურსით გათვალისწინებული უნარ-ჩვევები და გაუჩინა მიღებული ცოდნის დანერგვის მოტივაცია.